საქართველო
ა უ დ ი ტ ო რ ი
გოგოლაძე ია
ქ. სამტრედია, თბილისის ქ. №33

ტელ: 22-22-16, 598-43-41-76

GEORGIA
A U D I T O R
Gogoladze Ia
Office: Samtredia. Tbilisis st. №33

TEL: 22-22-16, 598-43-41-76

საიდენტიფიკაციო კოდი – 37001014520
სერთიფიკატი ზ/ბაფ - 031
ლიცენზია ზ№ 195

Indifikational Code – 37001014520
Certifikate Z/BAF -031
Licenzia z№ 195

04 თებერვალი 2016 წელი

აუდიტორული დასკვნა

2016 წლის 02 თებერვლის MES 9 16 00082021 წერილის საფუძველზე მომმართა სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ნათელა კიკაბიძემ, რომ განმესაზღვრა სახელმწიფო ქონების პირობით სასყიდლით იჯარით გადასაცემი ქონების – 15.9 კვმ ფართის წლიური საფასურის სავარაუდო შეფასება.

სახელმწიფო ქონების სასყიდლით სარგებლობაში გადაცემისას ქონების საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასური განისაზღვრება ქონების მმართველის მიერ, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული საწყისი საპრივატიზაციო თანხის არანაკლებ 5 პროცენტის ოდენობით.

ზემოთ მოცემული დებულებიდან გამომდინარე სკოლის შენობა-ნაგებობა მდებარეობს ადგილზე მისვლით და ვიზუალური დათვალიერებით ქ. აბაშა, სოფელ გეზათში (საიდენტიფიკაციო კოდი 222445879), მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №882016056791, 04.02.2016. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №40.02.34.179 რომელიც წარმოადგენს ორსართულიან კაპიტალურ შენობა-ნაგებობას, რომლის საერთო ფართია 409.9 მ2.

აღნიშნული შენობა-ნაგებობა აშენებულია საამშენებლო აგურით და სართულებს შორის მოწყობილია სინკარის ფილები. იატაკზე დერეფნებში დასხმულია მოზაიკა. პირველ და მეორე სართულს ორივე მხრიდან ერთმანეთთან აკავშირებს შენობის შიგნით კიბის უჯრედი.

ყველა სართულის საკლასო ოთახში იატაკზე დაგებულია ხე. ფანჯრები ჩასმულია მეტალო-პლასმასის და კარებები - ხის. კედლების და ჭერის გარკვეული ნაწილი მოითხოვს დამუშავებას და შეღებვას, ხოლო ნაწილი შეღებილია წყალ-ემულსიით. შენობის სახურავი დახურულია ხის ძელებზე თუნუქის გოფრირებული ფირფიტით.

ზემოთ აღნიშნული სკოლის შენობა-ნაგებობის საბაზრო სარეალიზაციო ღირებულება სავარაუდოთ განისაზღვრება 96 000 (ოთხმოცდათექვსმეტიათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოვახდინე წლიური საფასურის განსაზღვრა, საპრივატიზაციო თანხის 5%-ის ე.ი 96 000 X5%=4800 ლარის. 1 მ2 ფართის ღირებულება შეადგენს 11.71 ლარს (4800/409.9მ2), ანუ იჯარით გასაცემი 15.9 მ2 ფართის წლიური ღირებულება შეადგენს 186.19 ლარს (15.9მ2X11.71ლარი).

დასკვნა: ს.ს.ი.პ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ნათელა კიკაბიძის მომმართვის საფუძველზე მოვახდინე სკოლის შენობაში მდებარე (იჯარით) სარგებლობაში გასაცემი 15.982 ფართის წლიური საფასურის სავარაუდო განსაზღვრა, რომელიც შეადგენს – 186.19 (ასოთხმოცდაექვს ლარს და ცხრამეტ თეთრს) ლარს.

ინდივიდუალური აუდიტორი:
საქართველოს პროფესიონალი ბუღალტერი: /ი. გოგოლაძე/